ალექს ჩიღვინაძე

და არ მოფრინდა დრაკონი მათთან

Scanned with CamScanner

სამი ახალგაზრდა ქალი შემთხვევით აღმოჩნდება უცნობ კაცთან, გალოთებულ, კრიზისში მყოფ მწერალთან, რომელსაც წლების წინ ქალიშვილი გარდაეცვალა, ნარკოტიკის გადაჭარბებული დოზის გამო. ის მას დედის გარეშე ზრდიდა. გოგონა კონსერვატორიაში სწავლობდა. ისინი ერთად უსმენდნენ კლასიკურ მუსიკას, თამაშობდნენ კარტს, სეირნობდნენ ზღვის სანაპიროზე. მოკლედ, მისთვის შვილი ყველაფერი იყო – მთელი სამყარო.

სამივე სტუმარს ბავშვობაში სრულიად განსხვავებული და უჩვეულო სტრესი აქვს გადატანილი. სამივეს ავადმყოფური დამოკიდებულება აქვს მამის მიმართ. სამივე მამას ხედავს იმ კაცში, ვის ჭერქვეშაც აღმოჩნდნენ. მასპინძელი კი, თავის მხრივ, სამივე სტუმარში თავისი გოგონას თვისებებს აღმოაჩენს. ოთახში სიტუაცია იძაბება და „გამოდის კონტროლიდან“. მას კიდევ ერთი, მოულოდნელი სტუმრის ვიზიტი ასრულებს.

Scanned with CamScanner

მოქმედი პირები

მეგი კობალაძე – მხატვარი, პარანოიკი. ნაზი, მაგრამ ფეთქებადი. მამამისი კრიმინალი იყო, ნარკომანი, რომელიც პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციის დროს მოკლეს. ბავშვობაში, როცა მათ სახლში ჩხრეკას ატარებდნენ, ის იძულებული იყო ხალათის ქვეშ მამამისის იარაღი დაემალა. მის საყვარელ სათამაშოში კი მამა კოკაინს მალავდა. ის ირაკლისთან პირველი მოხვდება, რადგან ჰგონია, რომ ვიღაც მოსდევს. ამიტომ პირველსავე სადარბაზოში, პირველსავე კარს მივარდება დახმარების სათხოვნელად.

მაგდა ლებანიძე – პიცის დამტარებელი, რომელიც ოცნებობს ოპერის მომღერლობაზე. მამამისი ოპერაში მუშაობდა. ოთხმოცდაათიან წლებში ფეხით დადიოდა სამსახურში. ისინი გარეუბანში ცხოვრობდნენ. ოპერა კი ქალაქის ცენტრში მდებარეობდა. განცდა აქვს, რომ ამისთვის ვერასოდეს გადაუხდის მამას მადლობას. მა-

Scanned with CamScanner

მამისი ოპერიდან გამოაგდეს. ის ახლა ლოგინადაა ჩავარდნილი და მაგდა იძულებულია, პიცის დამტარებლად იმუშავოს, რომ შიმშილით არ გასძვრეთ სული.

სალომე

მაისაშვილი – სოციალური მუშაკი. ამოწმებს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობას. მამისი – ლოთია, ამიტომ ვერ იტანს ლოთებს. ბატონი ირაკლის სახლში კი მხოლოდ ცარიელი ბოთლები, ბოთლები და ბოთლებია. ასევე, რადიო, გარდაცვლილი შვილის პრიზები და არბალეტი. სალომე ირაკლის კარზე ბოლოს აკაკუნებს. სწორედ ის ჰკითხავს, ჰყავს თუ არა შვილი. აქედან იწყება სამივე ქალის ისტორიები მამის შესახებ. უყვებიან ერთმანეთს. თითქოს თვითონაც ანკეტას ავსებდნენ. მაგრამ მთავარი მსმენელი მაინც ირაკლია. ეს ისტორიები მისთვის არის განკუთვნილი. მას აგიჟებენ. მასში ხედავენ მამას. ამაში ალკოჰოლის მცირე დოზაც ეხმარებათ. სალომე ცდილობს ჩაიწეროს სამივეს ისტორია.

Scanned with CamScanner

ირაკლი ჩხიკვაძე – გალოთებული მწერალი. კრიზისშია. შვილის სიკვდილის შემდეგ არაფერი დაუწერია. ტანჯავს დანაშაულის შეგრძნება, რომ ერთადერთი ქალიშვილი, რომელსაც უდედოდ ზრდიდა, კაიფში გაიპარა. საკუთარ თავს ადანაშაულებს, ყველა გოგონაში თავის შვილს ხედავს. იხსენებს ზღაპარს, რომელსაც ყოველ ღამე უამბობდა თავის შვილს. ერთადერთი სუფთა ადგილი მის სახლში ის თაროა, სადაც მისი შვილის ჯილდოები მშვილდოსნობაში და არბალეტი დევს.

Scanned with CamScanner

მკრთალად განათებული ოთახი. იატაკზე ბოთლებია მიმოფანტული. და სიჩუმე. ირაკლი მაგიდასთან ზის. სძინავს. ამ დროს კარზე კაკუნია. ვიღაც ისტერიკულად აკაკუნებს კარზე.

მეგი. კარი გამიღეთ, გთხოვთ, გამიღეთ კარი!..

(ირაკლის ეღვიძება და კართან მიდის.)

ირაკლი. რომელი ხართ?!

მეგი. გამიღეთ, გთხოვთ, მომდევენ... ჩქარა გამიღეთ!

(ირაკლი ფიქრობს, გააღოს თუ არა კარი.)

მეგი. მომკლავენ, გთხოვთ, გამიღეთ...

(ირაკლი კარს აღებს. ოთახში მეგი შემოვარდება. დახეული ჩულქები აცვია. სახეზე საღებავი აქვს ჩამოდღაბნილი.)

მეგი. მადლობა, მადლობა, გადამარჩინეთ...

(ირაკლი რაღაცის თქმას აპირებს.)

მეგი. ჩუმად, ჩუმად, გთხოვთ, გაიგებენ... პირზე აფარებს ხელს.

(ირაკლი მოიშორებს)

ირაკლი. კი, მაგრამ, ვინ მოგდევთ? გამოვუძახო პატრულს? (მაგრამ ახსენდება, რომ ტელეფონი გადაუხდელობის გამო არ მუშაობს, ამიტომ ხელს ჩაიქნევს. ტელეფონის საფერფლედ გადაკეთებული ყურმილი მაგიდაზე აგდია.)

Scanned with CamScanner

მეგი. არ ვიცი...

ირაკლი. რატომ მოგდევდნენ?

მეგი. არც ეგ ვიცი...

ირაკლი. დააშავე რამე?

მეგი. არა, ჩემთვის მოვსეირნობდი.

ირაკლი. მტრები გყავს?

მეგი. არა. საერთოდ, პირველად ვარ ამ ქალაქში.

ირაკლი. ვინ მოგდევდა? დაინახე?

მეგი. არა, ხეებს უკან იმალებოდა... და კიდევ ჯაჭვის ხმაური მესმოდა. ალბათ შარვალზე ეკიდა გრძელი ჯაჭვი... ან ძაღლი ჰყავდა... ჰო, ძაღლი; დიდი ქოფაკი, მაგრამ ყეფის ხმა არ გამიგია. ხშირი სუნთქვა მესმოდა, რომელიც აშკარად არ იყო ადამიანის.

ირაკლი. საერთოდ, რა იცი, რომ შენ მოგდევდნენ?

მეგი. სხვა არავინ იყო ქუჩაში... ნაბიჯების ხმა მესმოდა... ვინ შეიძლება ყოფილიყო?!

ირაკლი. აბა, მე რა ვიცი, ხომ არ დამესიზმრებოდა... მეძინა ჩემთვის.

მეგი. მოიცა... შეიძლება...

ირაკლი. რა შეიძლება?

მეგი. შემთხვევით ხომ არ არის, რომ აქ მოვხვდი? შენ

Scanned with CamScanner

შეგეძლო, კარი არ გაგელო.

ირაკლი. შემეძლო და მგონი, არც უნდა გამეღო.

მეგი. რა გესიზმრებოდა?

ირაკლი. ვერ ხარ შენ!

მეგი. მითხარი!

ირაკლი. (დაბნეული) მესიზმრებოდა... მე და ჩემი შვილი მივსეირნობთ. გაზაფხულია. ის მტრედებს ხედავს და მათკენ გარბის... ისინი მიფრინავენ და ერთი მომენტი მეშინია, რომ ისიც მათთან ერთად არ გაფრინდეს...

მეგი. მეც მიყვარდა ეგ – მტრედები... საერთოდ არ ეშინოდათ ჩემი. მეც ეგრე მივდევდი ხოლმე... მაგრამ ერთხელ ერთმა მტრედმა ვერ გამასწრო და...

ირაკლი. და?

მეგი. გავსრისე. საწყალი, საწყალი მტრედი!.. გავგიჟდი, კინაღამ გადავყევი. მთელი თვე ვგლოვობდი. ცარცით შემოვხაზე ის ადგილი და ყოველდღე ყვავილები მიმქონდა...

ირაკლი. ჰოო? საწყალი...

მეგი. იცი, როგორ შემეცოდა?!

(მიდის მაგიდასთან) რას სვამ? კონიაკს? შეიძლება?

(ისე, რომ პასუხს არ ელოდება, პირდაპირ ბოთლიდან მოიყუდებს.)

Scanned with CamScanner

ირაკლი. ჭიქა დევს მანდ...

მეგი. იყოს, ჰერპესი არ მჭირს.

(ირაკლიც მიუჩოჩდება მაგიდას)

მეგი. დავრჩები ცოტა ხნით, ღამდება უკვე, ვერ გავალ ქუჩაში...

(კარზე კვლავ აკაკუნებენ. მეგი ფეხზე წამოვარდება.)

მეგი. არ გააღო... გთხოვ! არ გააღო!

(ირაკლიც შეშინებულია, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს.)

ირაკლი. მოიცა, აქ ხელს ვერავინ გახლებს... (მცველის როლში შედის. არბალეტს იღებს და კართან მიდის.)

ვინაა?

მაგდა. პიცა მოვიტანე.

(მეგი ირაკლის ზურგს ეფარება.)

ირაკლი. მე არ შემიკვეთია პიცა...

მაგდა. ასე იციან... ინიღბება, თავს გაჩვენებს... არ გაა-ღო, გთხოვ...

ირაკლი. შეცდომაა, შეგიძლიათ უკან წაიღოთ...

მაგდა. უკვე გადახდილია. მისამართი კი ზუსტად ესაა.

(ირაკლი არბალეტს მოამზადებს და კარს აღებს.)

შემოდის მაგდა. თავლში ხვდება არბალეტიანი ირაკლი...

Scanned with CamScanner

მაგდა. ვა, რობინ ჰუდი... (მეგის აათვალიერ-ჩაათვალიერებს) და მერიონი.

მეგი. ჯაჭვი გაქვს?

მაგდა. არა, ვერ ვიტან ჯაჭვებს, მძივებს და ეგეთ რაღაცეებს... თანაც სამსახურში, ჩემი სკუტერით როგორ გინდა, ეგეთები ატარო?

(პიცას მაგიდაზე დაატყეპებს.)

მაგდა. ცოტა კი გაცივდა, მაგრამ მაინც გემრიელია.

მეგი. ისე, კი მომშივდა...

ირაკლი. გმადლობ, ახლა კი მიბრძანდით...

მაგდა. წვიმს გარეთ, თუ არ შეგაწუხებთ დავრჩები თქვენთან, ყინავს... ეს გაზაფხულიც აღარ გველირსა რა...

ირაკლი. ჯერ ერთი გიჟი. ახლა პიცის დამტარებელი...

მაგდა. უკაცრავად, მამა-შვილი ხართ?

მეგი. არა, პირველად ვხედავ ამ კაცს, მაგრამ სიკვდილისგან გადამარჩინა. მომდევდნენ...

მაგდა. მართლა?

ირაკლი. არა, რა, რა მომელანდა, რატომ გავაღე კარი?

მეგი. ვინმე საეჭვო ხომ არ შეგინიშნავთ გარეთ? ვინმე ჯაჭვიანი, შავი ქურთუკით და ძაღლით? საშინელი

Scanned with CamScanner

ძაღლით, ყოველ ნაბიჯზე დორბლის გუბეს ტოვებს და მისი ველური სუნთქვა კილომეტრშიც გესმის...

მაგდა. არა, თან ახლა წვიმს და ახლა ყოველი ფეხის ნაბიჯზე გუბეა...

მეგი. საშინელი ძაღლი. ძაღლი კი არა გიგანტური ვირთხა, ბასკერვილების ვირთხა...

მაგდა. მიირთვით, სანამ სულ გაცივდა... გამიმართლა, ძირითადად, როცა ამ საცობების გამო შეკვეთის მიტანას ვაგვიანებ, ათასი ტყუილის მოგონება მიწევს... რომ ვითომ შესასვლელში პიცაზე გაგიჟებული იტალიელი ნაგაზი დამხვდა. პატრონს ხელიდან გაუსხლტა და ჩემკენ გამოვარდა. ის ეძახდა: პაოლო! პაოლო! ის დამპალი კი მომდევდა...

მეგი. მართლა შეგხვდა? ალბათ ის იყო, ის ბინძური ძაღლი, ცოფიანი... ე.ი. პაოლო... (პაუზა) პაოლო. ისე რა სახელია ძაღლისთვის?

მაგდა. არა, ასე ვიტყუები ხოლმე, უბრალოდ...

(პიცის ჭამას იწყებენ)

ირაკლი. პიცა მართლაც გემრიელია...

(კონიაკს ისხამს. უნდა გადაკრას, რომ კარზე ისევ ვიღაც აკაკუნებს.)

Scanned with CamScanner

ირაკლი. ეს ვინღა ოხერია?

(მეგი წამოვარდება და ახლა ის წამოავლებს არბალეტს ხელს, როგორც ჩანს, კონიაკმა თავისი ქნა.)

მეგი. გაუღე... ბოზები, დედას მოვუტყნავ... მიდი, შემოუშვი!

(მაგდაც დაბნეული წამოხტება. ცარიელ ბოთლს წამოავლებს ხელს და პიცის ყუთს ფარივით იჭერს.)

მაგდა. გაუღე!

(ირაკლი გოგოებს უყურებს. მხრებს იჩეჩავს და კართან მიდის.)

ირაკლი. ვინ არის?

სალომე. სოციალური მუშაკი...

მეგი. ჰო, ეგრე ინიღბებიან... მუშაკები – ჩუჟაკები! გააღე კარი, უნდა გავხვრიტო ეგ ნაბოზარი!..

სალომე. თქვენ იღებთ სილარიბის შემწეობას, ეს უბრალო შემოწმებაა.

მაგდა. სულ ფეხზე არ კიდიათ ახლა ღარიბები?!. მიდი, გააღე...

ირაკლი. ახლავე... კარს აღებს.

(შემოდის სალომე და „ამორძალების“ ყიჟინით გაოგნებულს ანკეტები ხელიდან უცვიდება.)

Scanned with CamScanner

სალომე. რა ხდება?

ირაკლი. ისე, ვრეპეტიციობდით ჩვენთვის...

მეგი. სადაა ძაღლი?

სალომე. რა ძაღლი... ეს უბრალო შემოწმებაა... მე...

მაგდა. თქვი, სანამ წამოვიდა თავში...

მეგი. მგონი მართლა არ არის ეს...

(მაგდა ბოთლს მაგიდაზე დებს.)

მაგდა. წვიმს კიდევ?

სალომე. კი, წვიმს...

ირაკლი. დაბრძანდით, რა გაინტერესებდათ?

სალომე. უბრალოდ, რამდენიმე შეკითხვას დაგისვამთ...

ირაკლი. გისმენთ...

(მეგი და მაგდა მაგიდას უბრუნდებიან.)

მეგი (სალომეს).პიცას არ შეჭამ?

სალომე. არა, გმადლობ... ე.ი თქვენი შემწეობით პიცას უკვეთავთ?

ირაკლი. არა, დღეს შემთხვევით მოიტანეს...

სალომე. ჰო, ჰო, აბა რა, შემთხვევით, შემთხვევით გაქვთ თქვენ ყველაფერი. შემთხვევით გაქვთ ეს ტელე-ვიზორები, მაცივრები... კაცმა რომ გკითხოთ, შიმშილით გძვრებათ სული...

Scanned with CamScanner

ირაკლი. წლებია, ნორმალური სადილია არ მქონია... რაც...

სალომე. ბოთლები, ბოთლები, ბოთლები... ისე, ეს ბოთლები რომ ჩააბაროთ, ერთი წლის შემწეობის თანხა კი გამოგივათ.

ირაკლი. როცა წვიმს, ჭერიდან წყალი ჩამოდის და ვუდგამ ხოლმე...

სალომე (თავისთვის). ტვინში არ გიჩნდებათ ნახვრეტები ამდენი სმით?

ირაკლი. არა, არ ვსვამ. ეს რძის ბოთლებია...

სალომე. ვიცი თქვენი რძე. მამაჩემიც სულ ასე ლიმონათზე და რძეზეა. ერთი დღე ვერ ძლებს, კანკალი უვარდება, თუ არ დალია...

(მეგი და მაგდა კონიაკს სვამენ და თან ცალი ყურით უსმენენ სალომეს და ირაკლის დიალოგს. სალომე შეშფოთებული გახედავს შემთვრალ „ამორძალებს".)

სალომე. თქვენი შვილები არიან?

ირაკლი. არა, პირველად ვხედავ ამათ...

სალომე. გასაგებია... შვილი გყავთ?

ირაკლი. მყავდა...

სალომე. სად არის?

Scanned with CamScanner

ირაკლი. მოკვდა...

სალომე. უკაცრავად...

ირაკლი. კაიფში გაიპარა, თუ უფრო ზუსტად გაინტერესებთ... ჩაწერეთ, რატომ გაჩერდით? ეგრე ჩაწერეთ – მარტოხელა ლოთი ყოველ ღამე ზის და გალეშილი, ცარიელ კედლებს უყვება ზღაპარს, რომელსაც ყოველ ღამით შვილს უყვებოდა...

გაინტერესებთ? (პაუზა) იყო და არა იყო რა, ცხოვრობდა ერთი ღარიბი გოგონა, რომელსაც ერთი პატარა დრაკონი შეუყვარდა...

მეგი. (სალომეს და ირაკლის მიუჩოჩდება) მამაჩემი არასოდეს მიყვებოდა ზღაპრებს...

მაგდა. მამაჩემი კი ისე დაღლილ-დაქანცული ბრუნდებოდა სახლში, ზღაპრის მოყოლა რომც სდომოდა, ვერ მოახერხებდა...

მეგი. მამაჩემს ეძებდნენ... პოლიციის ჩხრეკისას, ხალათის ქვეშ შიშველ სხეულზე მისი იარაღი მქონდა მიხუტებული, ვმალავდი... უხეში, ცივი რკინა კანს მიკაწრავდა... ახლაც მეტყობა...

(მაისურს იწევს და თეძოს ანახებს სალომეს.)

მაგდა. ქალაქი მეორე ბოლოში იყო ოპერა. იძულებული

Scanned with CamScanner

იყო ყოველ დილით ფეხით წასულიყო სამსახურში. ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა სახლიდან გადიოდა...

მეგი. ერთხელ პოლიციელი მომიყვა ზღაპარს, მე კი ეს დაწყევლილი იარაღი მედო, რომელიც თანდათან ქვევით მიცურდებოდა... ჭირი – იქა, ლხინი – აქა და იარაღიც დაებრეხვა იატაკზე!

მაგდა. ოცნებობდა, რომ ოპერის მომღერალი გამოვიდოდი (მაგდა რომელიღაც სევდიან არიას წამოიწყებს, თავიდან გაუბედავად...)

ირაკლი. ჩაიწერე... ჩაწერე ყველაფერი! ასე მთავრდებოდა ზღაპარი... „და არ მოფრინდა დრაკონი მასთან." – ასე მთავრდებოდა ჩემი ზღაპარი. ერთ დღესაც აღარ მოფრინდა დრაკონი. ის კი მეკითხებოდა. „აღარ, მამა? აღარ მოფრინდა?" და ტირილს იწყებდა... ვეღარასოდეს მოვუყვები...

სალომე. მამაჩემი კი ლოთია, ლოთი... გესმის? ალკოჰოლიკი. თვეობით იკარგება!

(ამ დროს კარზე ისევ კაკუნია.)

ირაკლი. ეს ვინღაა?

მეგი არბალეტს წამოავლებს ხელს. მაგდა – ბოთლს და თან სიმღერას არ წყვეტს.

Scanned with CamScanner

(კარს მიღმა რამდენიმე ადამიანის ხმა ისმის: ვეტერანის დღესთან დაკავშირებით, თქვენთან საქართველოს პრეზიდენტი მოვიდა სტუმრად!)

მაგდა. გაუღე, გაუღე!.. მაგათ ეგრე იციან შენიღბვა.

სალომე. შენ თუ პრეზიდენტი ხარ, მე საქართველოს დედოფალი ვარ!

მეგი. გააღე, გავხვრეტ შუაზე!!!

(კარს აღებენ და ოთხივე საომარი ყიჟინით გარბის სცენიდან. კულისებიდან არბალეტის ჩხაკუნი და პრეზიდენტის ყვირილი ისმის.)

ფარდა

Scanned with CamScanner